პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412678348) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალების „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეას“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^1 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე;

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებო დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412678348) რეორგანიზაცია (გაყოფა), მისგან მისი ფილიალების „ბოტანიკური ბაღისა“ და „ახალგაზრდობის პარკის“ გამოყოფა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ბოტანიკური ბაღი - მედეა“-ს დაფუძნება

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი